



კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები)

და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო

სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების

, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

### რეცენზია

დვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება მრავალი წლის განმავლობაში ითვლებოდა უწყინარ პათოლოგიად, მაგრამ გამოცდილებამ დაანახა საზოგადოებას, რომ დვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს. დვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება უახლოეს 20-30 წლიწადში შესაძლოა გახდეს დვიძლის ციროზის განვითარების ყველაზე ხშირი მიზეზი და დააყენოს პაციენტი დვიძლის გადანერგვის აუცილებლობის წინაშე. დაავადება ვითარდება უპირატესად 40-60 წლის ასაკში. ამდენად, მოიცავს საზოგადოებისთვის სოციალურად აქტიურ პერიოდს, უპირატესად გვხვდება ქალთა პოპულაციაში. გაივლის შემდეგ სტადიებს: დვიძლის სტადიოზი, არაალკოჰოლური სტატოპეპატიზი და ფიბროზი, რომლის შესაძლო გამოსავალია დვიძლის ციროზი ჰეპატოცელულარული კარცინომის განვითარების მაღალი რისკით.

საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის მიერ მოწოდებული “დვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების დიაგნოსტიკა და მართვა” კლინიკური მდგომარეობის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) შესრულებული იყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გაუწია ეფექტური დახმარება ექიმებს ამ პათოლოგიის მართვაში. პროტოკოლი დამტკიცებული იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის № 01-230 /ო ბრძანებით. პროტოკოლის გადახვდვის ვადა მითითებული იყო 3 წელი. ამჟამად, საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის მოგვაწოდა უახლესი ინფორმაციით შევსებული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გადამუშავებული კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი), რომელიც ფრიად სასარგებლო იქნება ექიმთა საზოგადოების ინფორმირებისათვის ამ დაავადების მართვის კუთხით.

საქართველოს ინფექციონისტთა ასოციაცია დადგებითად აფასებს საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის მიერ მოწოდებულ კლინიკური მდგომარეობის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლი) “დვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების დიაგნოსტიკა და მართვა” გადამუშავებულ და შევსებულ ვარიანტს და შუამდგომლობას უწევს მას კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს წინაშე, რათა ის დამტკიცდეს და შევიდეს მოქმედებაში.

საქართველოს ინფექციონისტთა ასოციაციის პრეზიდენტი,

მედიცინის მეცნიერებათ და კულტურის მინისტრი,  
პროფესიონალი



/ელზა ვაშავიძე/  
31 მაისი 2018



1-25/03

04.06.2018

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური  
მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების  
და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

### რეცენზია

ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება დამოუკიდებელი ნოზოლოგიური ერთეულია. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საკმაოდ ფართოდ გავრცელებული პათოლოგიაა, მიმდინარეობს უსიმპტომოდ, ზოგ შემთხვევაში რთულდება ღვიძლის ციროზის, პორტული პიპერტენზიისა და ღვიძლის უკმარისობის ჩამოყალიბებით. ამდენად, დაავადება მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და მართვას, რაც ადასტურებს კლინიკური მდგომარეობის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლი) აუცილებლობას.

2015 წელს საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის მიერ მოწოდებული იყო კლინიკური მდგომარეობის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) “ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების დიაგნოსტიკა და მართვა” შესრულებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში მიღებულია შედარებით ახალი მიდგომები ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების მართვაში, რაც საქართველოს თერაპევტთა ასოციაციამ ასახა მის მიერ განახლებულ და გადამუშავებულ პროტოკოლში “ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების დიაგნოსტიკა და მართვა”.

მიგვაჩნია, რომ ამ პროტოკოლის გადამუშავება და ახალი ინფორმაციით გამდიდრება არის დროული და აუცილებელი ექიმებისათვის დაავადების მართვის თანამედროვე პრინციპების გასათვალისწინებლად.

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი დადებითად აფასებს საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის მიერ მოწოდებულ კლინიკური მდგომარეობის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლი) “ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების დიაგნოსტიკა და მართვა” გადამუშავებულ ვარიანტს და შუამდგომლობას უწევს მას კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს წინაშე, რათა ის დამტკიცდეს და შევიდეს მოქმედებაში.

საქართველოს საოჯახო მედიცინის  
პროფესიონალთა კავშირის პრეზიდენტი  
ირინა ქაროსანიძე

31 მაისი 2018

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური  
მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების  
და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

### რეცენზია

2015 წელს საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის მიერ მოწოდებული იყო  
კლინიკური მდგომარეობის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) “ღვიძლის  
არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების დიაგნოსტიკა და მართვა”  
შესრულებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამჟამად,  
საქართველოს თერაპევტთა ასოციაციამ გადამუშავებულ წყარო გაიდლაინზე  
დაყრდნობით წარმოადგინა ახალი მიდგომები ღვიძლის არაალკოჰოლური  
ცხიმოვანი დაავადების მართვაში.

ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება სტატისტიკური  
მონაცემების მიხედვით საქმაოდ ფართოდ გავრცელებული პათოლოგიაა.  
უახლოეს 20-30 წელიწადში შესაძლოა გახდეს ღვიძლის ციროზის განვითარების  
ყველაზე ხშირი მიზეზი და დააყენოს პაციენტი ღვიძლის გადანერგვის  
აუცილებლობის წინაშე. ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება  
ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და შაქრიანი დიაბეტის  
განვითარების რისკს, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და მართვას, რაც  
აუცილებელს ხდის კლინიკური მდგომარეობის სახელმწიფო სტანდარტით  
(პროტოკოლი) ხელმძღვანელობას.

მიგვაჩნია, რომ პროტოკოლის “ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი  
დაავადების დიაგნოსტიკა და მართვა” გადამუშავება და საექიმო  
საზოგადოებისათვის მოწოდება დროულია და მნიშვნელოვანი.

ვშუამდგომლობ საქართველოს თერაპევტთა ასოციაციას კლინიკური  
პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური  
მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,  
შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს წინაშე, რათა დამტკიცდეს  
პროტოკოლის “ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების დიაგნოსტიკა და  
მართვა” განახლებული ვარიანტი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი  
გასტროენტეროლოგიაში გიორგი სამადაშვილი

12.07. 2018